ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

ქვეპროგრამების შესახებ 2023 წლის 1 კვარტალი

სსიპ- საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური 30 05
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მომსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა 30 05

პროგრამის განმახორციელებელი - სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 05	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4 437	4440	1 214,88	27,37%	7,92

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეგილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება; ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით განხორციელდა ბენეფიცართა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა)

დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება:

1. ექიმ-სპეციალისტთან ვიზიტი - **16 136** მიღება;
2. სტომატოლოგიურ კაბინეტში ვიზიტი - **1 522** მიღება;
3. ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის კაბინეტში - **3 542** გამოკვლევა;
4. ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში - **979** პროცედურა;
5. ფიზიოთერაპიულ კაბინეტში - **4 193** პროცედურა;
6. რენტგენოლოგიის კაბინეტში - **3 743** პროცედურა ;
7. ლაბორატორიული ანალიზი - **26 201** გამოკვლევა;
8. საინექციო კაბინეტში - **273** პროცედურა;
9. მასაჟის კაბინეტში - **384** პროცედურა;
10. ცენტრალური სამხედრო - საექიმო კომისია გაიარა:
    10.1 ახლად მისაღები კონტიგენტი - **1 071** პირმა;
    10.2 წვევამდელი - **283** პირმა;
    10.3 სამოქალაქო პირი - **33** პირმა.